განახლებულია 07.09.2026

საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი - ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი**
საგანმანათლებლო პროგრამის დასახელება	**თარგმანმცოდნეობა და კულტურათშორისი კომუნიკაცია/Translation Studies and Intercultural Communication**
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	**პირველი ნაწილი** თარგმანმცოდნეობის მაგისტრი/Master of Translation Studies **მეორე ნაწილი** კვლევის მაგისტრი თარგმანმცოდნეობაში / Master of Research (MRes) in Translation Studies ”.
პროგრამის ხელმძღვანელ(ებ)ი	მარინე აროშიძე, პროფესორი, ელ.ფოსტა: marina.aroshidze@bsu.edu.ge ნინო აროშიძე, ასოცირებული პროფესორი, ელ. ფოსტა: nino.aroshidze@bsu.edu.ge
პროგრამის სტრუქტურა/ECTSმოცულობა, სასწავლო გეგმა (იხ. დანართი №1)	**პირველი ნაწილი** 60 ECTS **მეორე ნაწილი** 60 ECTS
სწავლების ენა	ქართული ენა
საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	**პირველი ნაწილი** ✓ საერთო სამაგისტრო გამოცდა; ✓ შიდა საუნივერსიტეტო გამოცდები: უცხო (ინგლისური, გერმანული, ფრანგული) ენა - B2 დონე და სპეციალობა; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე, კანონმდებლობით დადგენილი წესით. **მეორე ნაწილი** ✓ პროგრამის I ნაწილის დასრულება; ✓ მობილობის წესით ჩარიცხვა; ✓ უცხო ქვეყნის მოქალაქეთა და უცხოური განათლების მქონე პირთა ჩარიცხვა საქართველოს კანონმდებლობითა და ბსუ-ს რეგულაციების შესაბამისად.

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**პირველი ნაწილი** ✓ შესძინოს სტუდენტს ზოგადი და სპეციალური დარგობრივი თარგმანმცოდნეობის უახლესი თეორიებისა, მთარგმნელობითი სტრატეგიების, კულტურათაშორისი კომუნიკაციის ღრმა და სისტემური ცოდნა; ✓ განუვითაროს მას მთარგმნელობითი საქმიანობის უნარ-ჩვევები, სინქრონულ და დიაქრონიულ ჭრილში ფილოლოგიური ანალიზის უნარი; ✓ გაუღრმავოს სტუდენტს წერითი და ზეპირი კომუნიკაციის უნარი წყარო და სამიზნე ენებზე (ენობრივი დონე C1), არგუმენტირებული მსჯელობის უნარი, დაუხვეწოს ეფექტური კულტურათაშორისი დიალოგის/პოლილოგის უნარ-ჩვევები; ✓ აღზარდოს/ჩამოაყალიბოს უნივერსიტეტის მისიიდან და დამსაქმებლების ინტერესებიდან გამომდინარე თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი მთარგმნელი, რომელიც ავლენს მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებას, აკადემიურ კეთილსინდისიერებას, და, როგორც საზოგადოების თავისუფალი პიროვნება, ეყრდნობა ჰუმანიზმისა და დემოკრატიული ღირებულებების პრინციპებს. **მეორე ნაწილი** ✓ შესძინოს სტუდენტს ზოგადი და სპეციალური დარგობრივი თარგმანმცოდნეობისა და თანამედროვე სამეცნიერო ლინგვისტური პარადიგმის უახლესი თეორიებისა, მთარგმნელობითი სტრატეგიების, კულტურათაშორისი კომუნიკაციის ღრმა და სისტემური ცოდნა; ✓ შესძინოს სტუდენტს ძირითადი მიღწევების, ინტერდისციპლინარული მეთოდოლოგიური მიდგომების ცოდნა; ✓ განუვითაროს მას თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის სფეროში ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევების განხორციელების უნარი ქართულ ენასა და კულტურასთან შედარებით/შეპირისპირებით ასპექტში; თანამედროვე გამოწვევებისა და უახლესი მიღწევების კრიტიკულად გააზრების უნარი; ✓ აღზარდოს/ჩამოაყალიბოს სახელმწიფო პრიორიტეტებიდან, უნივერსიტეტის მისიიდან და დამსაქმებლების ინტერესებიდან გამომდინარე თანამედროვე მოთხოვნების შესატყვისი კომპეტენციის მქონე მაღალკვალიფიციური, კონკურენტუნარიანი მკვლევარი თარგმანმცოდნეობის დარგში, რომელიც ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლისა და კვლევისა უნარს, ავლენს მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებას, აკადემიურ კეთილსინდისიერებას, და, როგორც საზოგადოების თავისუფალი პიროვნება, ეყრდნობა ჰუმანიზმისა და დემოკრატიული ღირებულებების პრინციპებს.
სწავლის შედეგები	**პირველი ნაწილი**

	✓ ავლენს ზოგადი და სპეციალური დარგობრივი თარგმანმცოდნეობის უახლესი თეორიებისა, მთარგმნელობითი სტრატეგიების, კულტურათაშორისი კომუნიკაციის ღრმა და სისტემურ ცოდნას, აანალიზებს მნიშვნელოვან ლინგვისტურ კონცეფციებთან დაკაშირებულ ცნებებს ✓ განსაზღვრავს წყარო და სამიზნე ენების თავისებურებებს (ენობრივი დონე C1), ავლენს არგუმენტირებული მსჯელობისა (წერილობით და ზეპირ ფორმაში) და ეფექტური კულტურათაშორისი დიალოგის/პოლილოგის უნარ-ჩვევებს; გათავისებული აქვს ჰუმანიტარული მეცნიერების მნიშვნელობა, მისი ინტერდისციპლინარული ბუნება, თარგმანის როლი თანამედროვე სამყაროში; ✓ ავლენს პროფესიულ საქმიანობაში ლინგვისტური, ლიტერატურურათმცოდნეობითი, ლინგვოკულტუროლოგიური ანალიზისა და მთარგმნელობითი საქმიანობის უნარ-ჩვევებს, შეუძლია ქართულ ენასა და კულტურასთან სხვა ენების შედარება/შეპირისპირება; შეუძლია მულტიდისციპლინურ გარემოში პრაქტიკული პროფესიული მოღვაწეობა; ✓ ახდენს ფართო პროფილის ლინგვისტური და მთარგმნელობითი ცოდნის ადვილად ადაპტირებას ცვალებად პროფესიულ გარემოში, ✓ იყენებს მშობლიურ და სპეციალიზაციის ენებს (წერილობით და ზეპირ ფორმაში) აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან არგუმენტირებული კომუნიკაციის დროს საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით; ✓ ავლენს თარგმანმცოდნეობაში შეძენილი ცოდნის გაღრმავებისა და სრულყოფისთვის თვითშეფასებისა და სისტემატური დამოუკიდებელი მუშაობის უნარს; ✓ ავლენს თარგმანმცოდნეობაში შეძენილი ცოდნის გაღრმავებისა და სრულყოფისთვის თვითშეფასებისა და სისტემატური დამოუკიდებელი მუშაობის უნარს; ✓ მჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლისა და მუშაობის უნარს. ✓ ავლენს მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებას, ეყრდნობა ჰუმანიზმისა და დემოკრატიული ღირებულებების პრინციპებს; ✓ წარმატებით იყენებს პოლიკულტურული ტოლერანტული პიროვნების თვისებებს პროფესიულ და საზოგადოებრივ საქმიანობაში. **მეორე ნაწილი** ✓ ავლენს თანამედროვე სამეცნიერო ლინგვისტური პარადიგმის ძირითადი მიღწევების, ინტერდისციპლინარული კვლევის მეთოდოლოგიური მიდგომების ღრმა და სისტემურ ცოდნას; აანალიზებს მნიშვნელოვან ლინგვისტურ კონცეფციებთან დაკაშირებულ ცნებებს და შეუძლია მათი გაშუქება ქართულ მეცნიერებაში; ✓ მიმოიხილავს ქართული კულტურის მატარებლის ჩართულობის ცალკეულ პრობლემებს და მათი გადაჭრის გზებს მსოფლიოს ინტეგრაციულ პროცესებში;

	✓ ავლენს სინქრონულ და დიაქრონიულ ჭრილში ლინგვისტური ანალიზის უნარს, თარგმანმცოდნეობისა და კულტურათაშორისი კომუნიკაციის სფეროში ფუნდამენტური და გამოყენებითი ხასიათის კვლევების თანამედროვე გამოწვევებისა და უახლესი მიღწევების კრიტიკულად გააზრების უნარს; ✓ ამჟღავნებს თარგმანმცოდნეობის დარგში მაღალკვალიფიცირებული მკვლევარის პროფესიულ თვისებებს: დამოუკიდებელი სწავლისა და კვლევის უნარს, არგუმენტირებული დასკვნების გაკეთებისა და მუშაობის უნარს; ✓ ავლენს ტოლერანტობას, იცავს აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპებს კვლევითი ნაშრომების მომზადებისას. ✓ ამჟღავნებს დამოუკიდებლად სწავლისა და მუშაობის უნარს, მაღალ მოქალაქეობრივ შეგნებას, ეყრდნობა ჰუმანიზმისა და დემოკრატიული ღირებულებების პრინციპებს.